

პარტნიორთა პრომოაქციები Glovo-ს მომხმარებლებისთვის

რატომ უნდა შევთავაზო პრომოაქციები?

პრომოაქციები პარტნიორებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი ხელსაწყოა, რომელიც Glovo-ზე ბიზნესის ზრდისა და ახალი მომხმარებლების მოზიდვის საშუალებას იძლევა. საშუალოდ, პარტნიორებს **უორმაგდებათ შეკვეთების რაოდენობა** და **უსამმაგდებათ მაღაზიის მონახულების რიცხვი** პრომოაქციების წყალობით.

თუმცა გაითვალისწინეთ, რომ პრომოაქციებს შეიძლება განსხვავებული შედეგი ჰქონდეს, რაც დამოკიდებულია შემდეგზე:

- პრომოაქციის სახეობა: პარტნიორებს შეუძლიათ გამოიყენონ პროდუქტის ან მიტანის პრომოაქცია, მათი სტრატეგიიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე
- რამდენად მიმზიდველია პროდუქტები პრომოაქციაში
- პრომოაქციის ხანგრძლივობა და დრო

რა სახის პრომოაქციების შექმნა შემიძლია?

ამჟამად, თქვენ შეგიძლიათ უფასო მიტანის, ფიქსირებული ფასის მქონე მიტანის, ორი ერთის ფასად კამპანიებისა და %-იან ფასდაკლებათა პრომოაქციების შექმნა პარტნიორის ვებ-აპლიკაციიდან. მალე დავამატებთ პრომოაქციების სხვა სახეობებს!

- **უფასო მიტანა:** მომხმარებელი საკვებს/პროდუქტს მიტანის საფასურის გარეშე მიიღებს.
- **ფიქსირებული მიტანა:** მომხმარებელი ფიქსირებულ საფასურს იხდის (ჩვეულებრივ საფასურზე დაბალი)
- **2x1:** მომხმარებელი ყიდულობს ერთ პროდუქტს და მეორეს (იმავე პროდუქტს) უფასოდ იღებს.
- **პროდუქტებზე ფასდაკლების პროცენტი:** მომხმარებელი შეკვეთილი პროდუქტებისთვის შემცირებულ საფასურს იხდის — მაგ., 20%-ით ნაკლებს სპეციფიკური პროდუქტის ან მთელი მენიუსთვის.

აირჩიეთ ისეთი, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება თქვენს ბიზნეს საჭიროებებს!

როგორ შევქმნა საკუთარი პრომოაქციები?

1. შედით პარტნიორის ვებ-აპლიკაციაში და გადადით „პრომოაქციების“ ჩანართზე. აღნიშნულ განყოფილებაზე წვდომის მისაღებად, ადმინისტრატორის კოდის შეყვანა მოგიწევთ, რომელიც ელფოსტის მეშვეობით გამოგეგზავნათ. თუ მის პოვნას ვერ შეძლებთ, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ შეტყობინება პარტნიორის ვებ-აპლიკაციიდან, „პროფილის“ განყოფილებაში არსებულ „დახმარებისა და რესურსების“ ლილაკზე დაჭერით.
2. დააჭირეთ ლილაკზე „კამპანიის შექმნა“
3. აირჩიეთ პრომოაქციის სახეობა, რომლის გამოყენებაც გსურთ

4. საჭირო იქნება შემდეგი ინფორმაციის შეყვანა:

- კამპანიის დასახელება (გაითვალისწინეთ, რომ ეს სახელი აპლიკაციაში არ გამოჩნდება, იგი მხოლოდ პრომოაქციის იდენტიფიცირებისთვის იქნება გამოყენებული.)
- პრომოაქციის სპეციფიკა
- ობიექტები, რომლებისთვისაც სარეკლამო კამპანიის დაწყება გასურთ
- პრომოაქციის თარიღები
- ბიუჯეტი, რომლის დახარჯვაც გასურთ (არასავალდებულო)

როგორც წესი, პრომოაქცია აქტიური სტატუსით იწყება, ამ ვარიანტის დეაქტივაცია კამპანიის შექმნის პროცესშია შესაძლებელი და მოგვიანებით მის გააქტიურებას პრომოაქციების პანელიდან, „სტატუსის“ სვეტის საშუალებით შეძლებთ.

რამდენი პრომოაქციის შექმნა შემიძლია?

პრომოაქციების რაოდენობა შეუზღუდავია, ერთი და იმავე პერიოდის განმავლობაშიც კი. სხვადასხვა სახის პრომოაქციების კომბინირება უკვე შესაძლებელია!

როდის შემიძლია შევექმნა ჩემი პრომოაქციები?

შეგიძლიათ თქვენი პრომოაქციები იმ დროს შექმნათ, როდესაც ეს ყველაზე ხელსაყრელი იქნება თქვენთვის. პარტნიორის ვებ-აპლიკაცია ხელმისაწვდომია 24/7-ზე!

რამდენიმე ობიექტი მაქვს. პრომოაქციების შექმნა ნებისმიერ მათგანში შემიძლია?

დიახ, თქვენ შეგიძლიათ პრომოაქცია გააქტიუროთ ყველა ობიექტისთვის ან მხოლოდ ერთ-ერთი შეარჩიოთ. თქვენი გადასაწყვეტია.

რა ხარჯებთან არის ეს დაკავშირებული?

თანხა თუ ჩამომეჭრება Glovo-ს მომხმარებელთათვის პრომოაქციების შექმნისა ან მათში მონაწილეობის მიღებისთვის?

არა, ჩვენ არ მოგთხოვთ რაიმე დამატებითი საფასურის გადახდას თქვენს ობიექტზე პრომოაქციის შექმნისთვის. თქვენ მხოლოდ იმ ხარჯებს დაფარავთ, რომლებიც დაკავშირებულია თქვენი პრომოაქციების საშუალებით მომხმარებლებისთვის განსაზღვრულ ფასდაკლებებთან.

როგორ ითვლით საკომისიოს იმ შეკვეთების შემთხვევაში, რომლებზეც პრომოაქცია ვრცელდება?

საკომისიო მხოლოდ დაკლებულ ფასებზე ვრცელდება. ეს ნიშნავს, რომ საკომისიოს გამოყენება ხდება შეკვეთის ნეტო ღირებულების გათვალისწინებით (ნებისმიერი შეძენილი საგნის ფასს გამოკლებული ნებისმიერი შეთავაზების ან ფასდაკლების ღირებულება).

როგორ ჩამომეჭრება თანხა იმ ხარჯებისთვის, რომლებიც პრომოაქციებს უკავშირდება?

თქვენ მას იხილავთ ინვოისში, როგორც გადახდის კორექტირებას. თქვენ მხოლოდ იმ ხარჯს დაფარავთ, რომელიც დაკავშირებულია თქვენი პრომოაქციების საშუალებით მომხმარებლებისთვის განსაზღვრულ ფასდაკლებებთან.

პრომოაქციას თუ გავაუქმებ, თანხა ჩამომეჭრება?

არა, თქვენ არასდროს ჩამოგეჭრებათ თანხა პრომოაქციის გაუქმებისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ არ მივიღებ ისეთ შეკვეთას, რომელსაც ეხებოდა პრომოაქცია, თანხა ჩამომეჭრება?

არა, თანხა მხოლოდ მიღებული შეკვეთებისთვის ჩამოგეჭრებათ.

თუ შემიძლია ბიუჯეტის ზღვრის დანესება ჩემი პრომოაქციებისთვის?

დიახ, კამპანიის შექმნისას შეგიძლიათ მიუთითოთ მაქსიმალური ბიუჯეტის ოდენობა, რომლის დახარჯვაც გსურთ ამ პრომოაქციაზე. ჩვენ ავტომატურად შევაჩერებთ პრომოაქციას, როგორც კი ხარჯი ბიუჯეტის 90%-ს გასცდება.

ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ბიუჯეტის მაქსიმუმი, რომელსაც გამოყოფთ, არ აღემატებოდეს თქვენი ყოველთვიური გაყიდვების 10%-ს, იმის გათვალისწინებით, რომ ეს მარკეტინგული ინვესტიციის მსგავსად იმუშავებს.

რას დაინახავენ მომხმარებლები Glovo-ს აპლიკაციაში?

ვის შეეძლება ჩემი პრომოაქციების ნახვა და მათით სარგებლობა?

Glovo-ს ყველა მომხმარებელს, რომელთა ადგილმდებარეობაც თქვენი მიტანის ზონაშია, შეეძლება თქვენი პრომოაქციების ნახვა და მათით სარგებლობა.

როგორ გაიგებს მომხმარებელი, რომ მე პრომოაქციებს ვთავაზობ?

ყოველ ჯერზე, როდესაც მიტანის ან გამორჩეული პროდუქტის პრომოაქციას გაუშვებთ, თქვენს ობიექტზე პრომოაქციის სარეკლამო ნიშანს დავამატებთ.

რა არის გამორჩეული პროდუქტის პრომოაქცია?

გამორჩეულ პრომოაქციებს აპლიკაციაში უფრო დიდი ხილვადობა აქვს: პრომოაქცია გამოჩნდება პრომოაქციების კედელზე და პრომოაქციის ყვითელი სარეკლამო ნიშანი თქვენი ობიექტის ბარათზე აისახება. შესაქმნელად, პრომოაქციაში შეტანილი პროდუქტების არჩევისას, არ დაგავიწყდეთ შემდეგის გათვალისწინება:

- პრომოაქციისთვის აირჩიეთ მინიმუმ 3 პროდუქტი, მათ შორის, ყველაზე გაყიდვადი პროდუქტი

- თუ ყველაზე გაყიდვადი პროდუქტები არ გაქვთ, აირჩიეთ, სულ მცირე, 5 პროდუქტი.

გაზარდეთ თქვენი პროდუქტის პრომოაქციის შედეგები მაქსიმუმამდე, ამ სახელმძღვანელო მითითებების დაცვით!

როგორ შემოიძლია თვალყურის მიდევნება ჩემი პრომოაქციების შედეგებისთვის?

თქვენი პრომოაქციების მართვა პარტნიორის ვებ-აპლიკაციიდან იქნება შესაძლებელი, საიდანაც მათი გააქტიურება და დეაქტივაცია ნებისმიერ დროს შეგიძლიათ.

თქვენი პრომოაქციის დასრულებისთანავე, მიიღებთ ანგარიშს ელფოსტის მეშვეობით, სადაც მოცემული იქნება ძირითადი ინფორმაცია თქვენი პრომოაქციის შედეგების შესახებ.

რა არის პრომოაქციების „წესები და პირობები“?

პრომოაქციებთან დაკავშირებულ წესებსა და პირობებს შეგიძლიათ გაეცნოთ [აქ](#).